სსრ კავშირის 1973 წლის ჩემპიონები სპორტულ ტანვარჯიშში



რ. სიხარულიძე
(თავისუფალი ვარჯიში).



ლ. ტურიშჩევა, ნ. კიმი (ორძელი).

ლ. ტურიშჩევა (ბჯენითი ხტომა).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 189
(4959)

1973 წ.
25 სექტემბერი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან



მ. საადი
(დვირი).

დიდი წარმატება

19 წლის შემდეგ...

სსრ კავშირის თასი და II ადგილი, სსრ კავშირის ჩემპიონის სამი ოქროს მედალი, ორ-ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდო — ასეთი ნადავლი მოიხვეჭეს გუშინწინ დამთავრებულ ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. ერთ შეჯიბრებაში ამდენი ჯილდო ქართველ ტანმოვარჯიშეებს 1954 წლიდან არ მოუპოვებიათ. ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების — რ. ჩაალიშვილის, მ. ჯუღელის, გ. შარაბიძის, გ. რცხილაძის, გ. ბაბილოძის, ა. ჯორჯაძის, ნ. თაყაიშვილის, ს. ჯაიანის, რ. შარაბიძისა და სხვათა უდიდესი დამსახურება ქართული ტანვარჯიშის წინაშე საყოველთაოდ ცნობილია და ამაზე ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მაგრამ დასამალი როდია, რომ მათი მომდევნო თაობა ასე აღარ ბრწყინავდა საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. რა თქმა უნდა, შემდეგაც იყვნენ ძლიერი ტანმოვარჯიშეები, მაგრამ, ვიმეორებთ, ის წინსვლა, რომელიც ბოლო წლებში შეიმჩნევა, გაცილებით უფრო საიმედო მომავლის საწინდარია. ამის ერთ-ერთი დადასტურება გახლავთ განვლილი შეჯიბრებაც.

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ეს დიდი წარმატება, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, თვით სპორტსმენთა დამსახურებაა, მაგრამ უმადურობა იქნებოდა ქებით არ მოგვეხსენიებინა მათი აღმზრდელები — მწვრთნელები, რომლებმაც, ვინ იცის, რამდენი ოფლი დაღვარეს და რამდენი ღამე თეთრად გაათენეს თავიანთ მოწაფეებზე ფიქრსა და ზრუნვაში. საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელებს ა. გაბრიაძეს, ს. და გ. ბურჯანაძეებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მათმა აღსაზრდელებმა რ. სიხარულიძემ, ნ. დრონოვამ და პ. შამუგიამ ასეთი უხვი მოსავალი მოიმკეს. მათი წვლილი ათმაგად გაიზრდება, თუ ვიტყვით, რომ რესპუბლიკაში არ მოიძებნება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი დარბაზი, სადაც ნორმალური ვარჯიში შეიძლებოდეს, ამის გარეშე კი ჭეშმარიტ მასობრიობაზე ლაპარაკი წყლის ნაყვაა. დროა ვიფიქროთ იმაზე, რომ ტანმოვარჯიშეებს საწვრთნელად სათანადო პირობები შევუქმნათ.

ტანმოვარჯიშეთა ეს წარმატება თვითდამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. პირიქით, ჩვენებს მეტი მუშაობა მართებთ, რათა მოპოვებული პოზიციები შეინარჩუნონ. წინ ბევრი საპასუხისმგებლო შეჯიბრებაა და კარგად დაწყებული საქმე, ასევე კარგად უნდა გაგრძელდეს.

... ვაჟთა შორის სსრ კავშირის თასი პ. შამუგიამ დაისაკუთრა. თვით ის ფაქტი, რომ ქართველმა ტანმოვარჯიშემ თასის გათამაშების ისტორიაში პირველად მოიპოვა ასეთი მაღალი ჯილდო, თავისთავად სასიხარულოა. მაგრამ კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ შეჯიბრების დასკვნითს ეტაპზე შამუგიას საბოლოო გამარჯვება არც ერთი წუთით ეჭვს არ იწვევდა. პირიქით, შამუგიას უპირატესობა იარაღიდან იარაღამდე იკვეთებოდა. საბოლოოდ ქართველმა სპორტსმენმა უახლოეს მეტოქეს ქულანახევარზე მეტით გაუსწრო.

(დასასრული მე-8 გვ.).

პ. შამუგია
(ბჯენითი ხტომა).



პ. შამუგია (ლერძი).

მ. ბოიკო (რგოლები).





ზ. ბოგდანოვი (ორძელი, თავისუფალი ვარჯიში).

რ. მიქაელიანი (ტაიჭი).

მ. ზარგარიანის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესანდობარი სუ-ალტოსთან

ამ ცოტა ხნის წინ იტალიიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირის მთამსვლელთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც ჩვენი რესპუბლიკიდან იყო ქვეყნის ჩემპიონი მეკლდეურობაში, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ლადო გურჩიანი. გუნდი 11 მთამსვლელისგან შედგებოდა, ხელმძღვანელი იყო მთამსვლელთა საკავშირო ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი მ. ანუფრიკოვი, მწვრთნელები — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ს. ონიშჩენკო და ს. რომანოვი.

იტალიის მთებში საბჭოთა სპორტსმენები პირველად 1969 წელს იყვნენ. მაშინ დაიღუპა მწვერვალ სუ-ალტოს კედელზე გამოჩენილი ქართველი მთამსვლელი მიხეილ ხერგიანი. გარდა ამისა, იტალიელთა შორის დიდად პოპულარულია საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის საერთაშორისო ფოტოკინოკონკურსი, რომელშიც ისინიც მონაწილეობენ. კავკასიონის მწვერვალები იტალიელ მთამსვლელებს ყოველთვის იზიდავდა.

ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელიც იტალიაში ჩვენი მთამსვლელისადმი გამოიჩინეს.

მილანში ჯგუფს დახვდა აოსტოს პროვინციის კურმაიორის მთამსვლელ გიდთა საზოგადოების თავმჯდომარე ალდო კოსმაჩინი. აოსტოს პროვინცია მთამსვლელობისა და სათხილამურო სპორტის განვითარების მხრივ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რაიონია. აქ გადის საფრანგეთ-იტალიის საზღვარი. აქედან კარგად ჩანს შვეიცარიის ალპების მშვენება — მწვერვალი მატერჰორნი, რომელსაც შვეიცარიის უშბას უწოდებენ. იტალიაში მას ჩერვინო ჰქვია. აქ არის ალპების უმაღლესი მწვერვალი მონბლანი (4810 მ).

საფრანგეთ-იტალიის საზღვარზეა გრან-კაპუცინი უძნელესი კედლებით. აქედან გადადის საბაგირო გზები საფრანგეთში. მონბლანის ქვეშ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი გვირაბით 30 წუთში შეიძლება ჩასვლა საფრანგეთის ქალაქ შამონში. 1967 წელს სწორედ ამ ქალაქში უჩვენებდა მასპინძლებს მიხეილ ხერგიანი თავის მეწყვილე სლავა ონიშჩენკოსთან ერთად მეკლდეურისა და მთამსვლელის უბადლო ოსტატობას გრან ჟორასზე, პტი-დრუზე და გრან-კაპუცინზე, რომლის დალაშქვრაც წლეულს მიზნად ჰქონდა დასახული ნაკრებს, ოღონდ იტალიის მხრიდან.

აქ მონტე-როზასა და ვალ-ვენის პლატოზე მსოფლიოში განთქმული სათხილამურო ტრასები და საბაგირო გზებია.

ვალ-ვენის პლატოდან კარგად ჩანს გრან-ჟორასი და სხვა მწვერვალები. კურმაიორიდან, რომელიც ზღვის დონიდან 1400 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, ჯგუფი ავიდა რიფუჯო (ქოხი) ტორინოში. ესაა ორსართულიანი სასტუმრო, აქვეა ბარი, რესტორანი, მაღაზიები. აქ იწყება სათხილამურო ტრასები და სხვ.

აქედან შესრულდა მონბლანის ტრავერსი, მოეწყო ასვლები 12 სხვადასხვა კატეგორიის სირთულის მწვერვალზე. სპორტსმენები იყვნენ რიფუჯო მონძინოში, რომლის მეპატრონე ორჯერ იყო საბჭოთა კავშირში. მას დაულაშქრავს კავკასიონის მწვერვალები: უშბა, შხელდა, იალბუზი და სხვ.

ჩვენი მთამსვლელები დაბინავდნენ მწვერვალ ჩერვინოს (პატარა მატერჰორნი) ძირში, 2007 მ სიმაღლეზე, ქალაქის ტიპის სოფელ ჩერვინოში. აქ გაიცნეს იტალიელი მთამსვლელი აკილე კომპანიონი, მსოფლიოში სიმაღლით მეორე მწვერვალის ჩოგორის (8611 მ) პირველი დამპყრობი. მთამსვლელობის მუზეუმში ისინი გაეცნენ 29 წლის მთამსვლელს მინუკოს, რომელიც წლეულს მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე ავიდა. ნაკრების მიერ დაგეგმილი ასვლებიდან ყველაზე ძნელი იყო მე-6 კატეგორიის სირთულის კედლით ასვლა გრან-კაპუცინზე. ამ მწვერვალზე მხოლოდ ორი კაცი ავიდა. საინტერესოა ლადო გურჩიანის ჩანაწერები ამ ასვლის შესახებ:

— „დილის ხუთის ნახევარზე ვიღვიძებთ, ხუთ საათზე კი უკვე გავდივართ ტორინოდან. გვაცილებენ ონიშჩენკო და ანუფრიკოვი, გვარიგებენ: თუ ცუდი ამინდი იყოს, მარშრუტზე არ გახვიდეთო. ჯიბის ფარნის შუქზე მივყვებით ფეხის ნაკვალევს, რომელიც ამ თოვლიან პლატოზე უამრავია. ნისლში ძლივს ვპოულობთ ბილიკს, რომელმაც მწვერვალის ძირში უნდა მიგვიყვანოს. კაპუცინზე ასვლაზე ჯერ კიდევ საქართველოში მიოცნებია. ამ მწვერვალზე ხომ მიშა ავიდა 1967 წელს. ერთ საათში მწვერვალის ძირში მივედით. ნისლმა გადაიყარა. ჩვენს წინ მთელი თავისი სიდიადით აღიმართა კაპუცინი, რომელიც ალაგ-ალაგ თოვლითა და ყინულითაა დაფარული. თვალი ძლივს სწვდება 800-მეტრიანი კედლის სიმაღლეს, დახრილობა კი თითქმის ყოველ მონაკვეთზე 85-90 გრადუსია. მოჩანს უარყოფითი დაქანების მონაკვეთებიც. ამ კედელზე სხვადასხვა სვლაგეზია. ჩვენ უნდა გავიაროთ ურთულესი, რომელიც პირველად გაიარა იტალიელმა ვალტერ ბონატიმ. სირთულით ის უმაღლესი კატეგორიისა — მეექვსესი, და კლასიკურ მარშრუტად ითვლება. ამინდი კი ისევ ცუდია. მიუხედავად ამისა, უკან დაბრუნებას არ ვაპირებთ. პატარა კულუარის დასაწყისში დავინახეთ, როგორ იშვებოდა სამი მთამსვლელი. ფრანგები აღმოჩნდნენ. ღამე კულუარის თავზე გაუთენებიათ, მაგრამ ცუდი ამინდის გამო უკან დაბრუნებულან.



სურათზე: მწვერვალ გამბოს კედელთან.

ჩვენ, მე და სერგეი ბერშოვი, ურთიერთდაცვით მივდივართ. ცოცვით 10-15 მეტრზე მეტს ვერ გაივლი. ხელის ჩასაჭიდი არ არის, ხშირად გვეჭირდება თოკის კიბეების გამოყენება. დღის სამი საათისთვის გამოიდარა. მარშრუტის ნახევარი გავიარეთ. ძლივს ვნახეთ ჩასაჯდომი ადგილი, სადაც ვისაუზმეთ. ქვევით ვიხედებით, კედელი ვერტიკალურია და ყველაფერი ჩანს. კლდეზე ორი წყვილი მოდის — გერმანელების და ინგლისელებისა. კვლავ განვაგრძობთ კედელზე მოძრაობას. ამინდი შეიცვალა, ჯერ ქარი ამოვარდა, მერე ნისლმა დაფარა გარემო, შემდეგ კი თოვა დაიწყო. ეს ყველაზე საშიშია. ქარი კედელზე თოვლს აყრის, რომელიც რამდენიმე წამში იყინება. ხშირ-ხშირად ვცვლით ერთმანეთს... კიბეები გაყინულია. ძალიან გვშველის ახლო-ახლოს ჩარჭობილი პალოები. ქვევით ვიხედებით. ყველა უკან ბრუნდება დულფერის წესით. ქარი და თოვა ძლიერდება. ქვევიდან გვესმის სლავას ხმა. ვამშვიდებთ, ვაცნობებთ, რომ ჩვენთან ყველაფერი რიგზეა. განუწყვეტლივ ვმოძრაობთ, მაგრამ ხელები მაინც გვეყინება. ძალიან მომწონს ჩემი მეწყვილე სერგეი ბერშოვი. ამინდმა სულ ვერ შეაშინა. ორივე მშვიდად განვაგრძობთ მოძრაობას ზევით. ერთი თოკის სიგრძის დასასრულს თითქოს ახლო ვიყავით მიზანთან, მაგრამ ლავგარდანი რომ გავიარეთ, მწვერვალის ბოლო 40-მეტრიანი ვერტიკალური მონაკვეთი აღმოჩნდა. სველი თოვლი ზედ ისე იყო მიყინული, კედელი ყინულისას უფრო ჰგავდა, ვიდრე კლდეს. ყველაზე მეტი ენერგია ამ მონაკვეთმა წაიღო. უკვე საღამოს შვიდი საათია. ყოველი მეტრის გავლა ჭირს, პალოები ისეა გაყინული, ნაჩვრეტიდან ყინულის გამომტვრევა ჩაქუჩით გვიხდება. კიბემ ელასტიკურობა დაკარგა. მისი დაჭერა შეიძლება ერთი ბოლოთი — ჰორიზონტალურად. კიდევ კარგი, ვახერხებთ ერთი პალოდან მეორემდე მიწვდომას. კლდეზე ფეხის მოკიდება და გაჩერება შეუძლებელია. ბოლო მონაკვეთზე წინ სერგეი მიდის. მე ორივე ფეხით კიბეზე ვარ დაკიდებული და ვიცავ. სერგეის ვერ ვხედავ. თოკი ჩემგან ძალიან ნელა მიდის... ქარი და თოვლი სახეში მცემს, თან ნისლია. რაც უნდა ვიყვიროთ, ხმა ქარს მიაქვს და ერთმანეთისა არ გვესმის. მხოლოდ თოკის მოძრაობით ვგრძნობთ ურთიერთს. გაყინული თოკი მაგრად მიჭირავს და ვგრძნობ, რომ ჩემს ამხანაგსაც ძალიან უჭირს. მის ყოველ ნაბიჯს ვითვლი. გავიდა კიდევ ნახევარი საათი. მოულოდნელად თოკმა სწრაფად მოძრაობა იწყო. შვებით ამოვისუნთქე — ესე იგი, სერგეი უკვე ზევითაა! მან თოკის მოძრაობით შემატყობინა, დაცვა მზად არისო. ვიწყებ მოძრაობას და ათი წუთის შემდეგ ერთად ვზეიმობთ კაპუცინის დაპყრობას. დაღამებამდე ერთი საათი რჩება, მაგრამ დაშვება შეუძლებელია. ქარისგან კლდის ქიმი გვიცავს. ზევიდან თოვლი გვეყრება. გავწმინდეთ თოვლისგან ვიწრო „დერეფნის“ მაგვარი ადგილი, კარავი გავშალეთ და ის იყო შიგ უნდა შევმძვრალიყავით, რომ უცებ საშინელი გრუხუნი გაისმა. ჩვენმა ლითონის საჭურველმა განმუხტვა მოახდინა. ბეწვზე გადავრჩით. იმ წამსვე თოკს გამოვაბით მთელი ჩვენი რკინის საჭურველი და ძირს დავუშვით. გაზის „პრიმუსი“ ავანთეთ, ჩაი ავადუღეთ და კარგად ვივახშმეთ. მაგრამ ძალიან ციოდა, საძილე ტომრები არ გვქონდა, თან სველები ვიყავით. ჩავეკარით ერთმანეთს და ჩავთვლიმეთ. სიცივემ მაინც გამოგვაღვიძა. დილამდე ვსაუბრობდით და ვმღეროდით. მთელი ღამე თოვდა, დილითაც არ გადაუღია. დაშვება, რასაკვირველია, უფრო იოლი იყო, მაგრამ თოვლის ფენამ 30 სანტიმეტრს მიაღწია. ორჯერ დულფერით ჩამოსვლის შემდეგ, თოვლიან ღარში დავეშვით, სადაც საზვავე ადგილები გვხვდებოდა. ცოტა გაგვიჭირდა პირველი პალოს პოვნა, საიდანაც 40-მეტრიანი თოკით უნდა ჩამოვსულიყავით. შემდეგ კი ყველაფერი კარგად წავიდა. 3 საათში ყინვარზე ვიყავით. აქ დაგვხვდა ორივე — ონიშჩენკო და რომანოვი. გადაგვეხვივნენ, მოგვილოცეს, ზურგჩანთები ჩამოგვართვეს. ერთ საათში ტორინოში ვიყავით. ეს ასვლა დიდი წარმატება იყო, რადგან ცუდი ამინდების გამო ჩვენს შემდეგ ზევით ვეღარავინ წავიდა.

ალპებში ასვლების შემდეგ გუნდი სამხრეთით — დოლომიტების რაიონში გაემგზავრა. ბევრი მსმენია დოლომიტების შესახებ, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახმა ყველაფერს გადააჭარბა. ამაზე ლამაზი ადგილები არა მგონია, სადმე იყოს. ამ [illegible]ბას ალბათ მშვენიერმა ამინდმა შეუწყო ხელი. აგ[illegible] მივაღწიეთ. აქ უკვე იცოდნენ ჩვენი ჩასვლის ამბავი. გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს. ადგილობრივმა მთამსვლელებმა და გიდებმა თავიანთი მანქანებით აგვიყვანეს ვაცოლერში. იქ დაგვხვდა იტალიის ამ საზოგადოების პრეზიდენტი არმანდო დაროი, რომელიც 1969 წელს მიშას დაღუპვის შემდეგ ძალიან დაეხმარა ჩვენს ჯგუფს. ძალიან ესიამოვნა, საგანგებოდ რომ ჩავედით მიშას დაღუპვის ადგილის სანახავად. მე მას საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის ვიმპელი გადავეცი და ვთხოვე ქოხში მიშას სურათთან დაეკიდა. ეს ის ქოხი იყო, სადაც მიშამ უკანასკნელი ღამე გაატარა. საათნახევარში მივედით იმ საბედისწერო მწვერვალ სუ-ალტოს ძირში. შემოგვემატნენ მინსკელი ვალერი გრაკოვლევიჩი და სვერდლოვსკელი მიხეილ სამოილინი. ძალიან დამწყდა გული, მწვერვალზე ასვლის უფლება რომ არ მოგვცეს. კულუარში წამდაუწუმ ქვები ცვიოდა. იქ ნახევარ საათს ვიყავით და ორჯერ გადავურჩით ქვებს. ზურგჩანთიდან ერთი ბოთლი ღვინო ამოვიღე. ოთხივემ შევსვით მიშას შესანდობარი. თავი წავუქციეთ და დანარჩენი ბოთლით იქვე კლდის ძირში შევდგი. რამდენიმე ქვის ნატეხი ავიღე და ზურგჩანთაში ჩავდე — მიშას მამას ბესარიონს უნდა წავუღო სვანეთში. ჩემთვის ძალიან მძიმე იყო ყოველივე ეს. ცრემლები ყელში მებჯინებოდა. ქვევითაც მქონდა ღვინო დატოვებული. რომ ჩამოვედით, სხვებმაც დალიეს მიშას შესანდობარი. დიდხანს ვიდექი მდუმარედ და შევცქეროდი მწვერვალ სუ-ალტოს, რომელმაც იმსხვერპლა ჩემთვის ყველაზე ახლობელი და საყვარელი ადამიანი. მივდივარ ამ ადგილებიდან და ვფიქრობ: რაკი მიშას მაინცდამაინც ასეთი ბედი ეწერა, თუ სვანეთში არა, აქ, ამ ულამაზეს ადგილებში უნდა დაღუპულიყო. არმან დაროის ვთხოვე მიშას დაღუპვის ადგილზე ბარელიეფი დაამაგროს, მე გამოვუგზავნი საქართველოდან. დამპირდა. აგორდოს ალპურ კლუბში საპატიო ადგილზე დაუკიდიათ მიშას პორტრეტი. ვუყურებ უკანასკნელად“...

ვენეციისა და რომის დათვალიერების შემდეგ გუნდი სამშობლოში დაბრუნდა.

დენიზა გოზალიშვილი.

კობა ჩოხელის ხსოვნისა

წითელი წყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. მას სათავეში უდგას სოციალისტური შრომის გმირი არსენ კობაიძე. ამ სოფელში შრომაც უყვართ და სპორტიც. კოლმეურნე ახალგაზრდები თავისუფალ დროს ვარჯიშობენ ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობასა და სპორტის სხვა სახეობებში, განსაკუთრებით კი ჭიდაობა უყვართ.

კოლმეურნეობის გამგეობა და თავმჯდომარე ა. კობაიძე ყოველმხრივ უწყობენ ხელს კოლმეურნეობის წევრთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვას.

ახლახან ჩატარდა ამ კოლმეურნეობის დამაარსებლის, საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთი პიონერის კობა ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში. ერთმანეთს ეჭიდრებოდა 40-ზე მეტი ახალგაზრდა. მათ შორის საუკეთესო იყო ამ კოლმეურნეობის საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი მ. გიგაური, რომელმაც მოიპოვა კობა ჩოხელის სახელობის გარდამავალი თასი. კარგი ტექნიკური მომზადება გამოავლინა ო. მალალაშვილმა, რომელსაც საჩუქრად ქართული საჭიდაო ჩოხა გადაეცა.

გამარჯვებულებს წარმატება მიულოცა და დიპლომები გადასცა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ შ. სუხიშვილმა.

კობა ჩოხელის სახელობის თასის გათამაშება ამიერიდან ყოველწლიურად ჩატარდება.

გ. დოროყაშვილი.

რაგბი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

• •

ოთხივეჯერ მასპინძლების უპირატესობით

კვირას მოსკოვსა და ლენინგრადში გაიმართა მეთერთმეტე ტურის შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ტურის ორივე ცენტრალური მატჩი მოსკოვში ჩატარდა. საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივი, რომელსაც სატურნირო ცხრილში არასახარბიელო მდგომარეობა აქვს, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონსა და წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს მასპინძლობდა. ამ გუნდების შეხვედრა პირველ წრეშიც საკმაოდ დაძაბული გამოდგა, მაგრამ მაშინ გაგარინელებმა იმარჯვეს (12:6), ახლა კი მსი-მ რევანში აიღო (6:3) და გათამაშების ცხრილში ერთი საფეხურით მაღლა გადაინაცვლა.

სსრ კავშირის ჩემპიონი და წლევანდელი პირველობის ლიდერი ადგილობრივი „ფილი“ მეორე ასევე მეტად საპასუხისმგებლო მატჩში „კრილია სოვეტოვის“ სტადიონზე თბილისის „ლოკომოტივს“ ეთამაშებოდა. რკინიგზელები დამარცხდნენ — 4:12.

წააგო ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდმა — თბილისის „დინამომაც“, რომელიც ლენინგრადში „ბურევესტნიკს“ ეთამაშა. მატჩის ანგარიშია 18:4 მასპინძლების სასარგებლოდ.

საშიშ ზონას თავი დააღწია მოსკოვის „ავტომობილისტმა“. მის წინააღმდეგ ზვენიგოროდის სტადიონზე კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის რეგბისტები თამაშობდნენ. „ავტომობილისტმა“ ერთ-ერთი საჯარიმოს ზუსტად გამოყენებით გათამაშების ცხრილში 2 ქულა ჩაიწერა — 3:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფილი“	11	10	0	1	143:48	20
სსა	11	8	0	3	148:75	16
„ბურევესტ.“	11	6	0	5	120:103	12
„სპარტაკი“	11	5	1	5	121:119	11
„ლოკომოტ.“	11	4	1	6	78:118	9
მსი	11	3	1	7	55:100	7
„ავტომობ.“	11	3	1	7	77:117	7
„დინამო“	11	3	0	8	79:141	6

პრიზიორები ყველა წონაში

უკრაინის ქალაქ ჩერნოვცში პირველად ჩატარდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ასპარეზობა. ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა 130-ზე მეტი ათლეტი.

ტურნირი საინტერესო და დაძაბული იყო. მსაჯები მკაცრად აღნუსხავდნენ ყოველი ილეთის სისწორეს და გადაჭრით ებრძოდნენ პასიურ ჭიდაობას.

ასპარეზობისადმი ინტერესს ზრდიდა ისიც, რომ შედეგებს უნდა დაესახელებინა საზოგადოების ნაკრების წევრები.

კარგად იჭიდავეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. აღსანიშნავია თ. ბედოევის (მძიმე წონა) გამოსვლა, რომელმაც ყველა შეხვედრა ვადამდე დაამთავრა. იგი I ადგილზე გავიდა. II საპრიზო ადგილები დაიკავეს ზ. გელაშვილმა (58 კგ), დ. ბოდაველმა (65 კგ), გ. დამადაევმა (85 კგ); II ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ჩემპიონი გ. დელიბაშვილიც. მას I ადგილის მოგებაც შეეძლო, მაგრამ ფინალური შეხვედრა უყურადღებოდ ჩაატარა.

თ. არაბული,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

დიდი წარმატება

19 წლის შემდეგ...

დასასრული

შეჯიბრების ბოლო დღეს, როცა უნდა გამოვლენილიყვნენ სსრ კავშირის ჩემპიონები ცალკეულ სახეობებში, შამუგია ოთხ სახეობაში გამოდიოდა და უმედლოდ არ დარჩენილა, ბჯენით ხტომასა და ღერძზე ვარჯიშში კი მან ჩემპიონის ოქროს მედლებთან ერთად დღის საუკეთესო შეფასებაც (9,5 ქულა) დაიმსახურა.

სპორტის მოყვარულებიც და სპეციალისტებიც მოელოდნენ რ. სიხარულიძის გამარჯვებას თავისუფალ ვარჯიშში. ნიჭიერმა გოგონამ მოლოდინი გაამართლა. სპორტის სასახლის თაღქვეშ კიდევ ერთხელ გაისმა მაყურებელთა მქუხარე ოვაცია. სიხარულიძეს ღირსეული მეტოქეობა გაუწია ტაშკენტელმა ე. საადიმ, რომელსაც არანაკლები ოვაციებით შეხვდნენ მაყურებლები. საადი შეუდარებელი იყო დვირზე ვარჯიშში.

მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურა 16 წლის ჩიმკენტელმა გოგონამ ნ. კიმმა, რომელმაც ტოლი არ დაუდო სახელოვან ლ. ტურიშჩევას და გამარჯვება გაინაწილა მასთან ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშში.

გაგვახარა 15 წლის თბილისელმა ტანმოვარჯიშემ ნ. დრონოვამ. მან კარგად შეასრულა დვირზე ვარჯიში, რისთვისაც ვერცხლის მცირე მედალი დაიმსახურა, ხოლო თავისუფალ ვარჯიშში მესამე იყო.

დასასრულ, სიამოვნებით უნდა მოგახსენოთ, რომ მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშებისა და სსრ კავშირის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. ვორონინმა საგანგებოდ აღნიშნა თბილისელი მაყურებლის ობიექტურობა და შეჯიბრების კარგი ორგანიზაცია.

ა. მხეიძე.

ტექნიკური შედეგები:

სსრ კავშირის თასი (ვაჟთა მრავალჭიდი). 1. პ. შამუგია (თბილისი, „დინამო“) — 111,275 ქულა; 2. ა. მალეევი (მინსკი, შეიარაღებული ძალები) — 109,75; 3. გ. ბოგდანოვი (მოსკოვი, შეიარაღებული ძალები) — 109,725; 4. ვ. ფოგელი (მოსკოვის ოლქი, შეიარაღებული ძალები) — 108,7; 5. ბ. კინევი (გროზნო, „დინამო“) — 108,125; 6. ვ. შჩუკინი (მოსკოვი, შეიარაღებული ძალები) — 107,9.

სსრ კავშირის ჩემპიონები ცალკეულ იარაღებზე: ქალები. **ხტომები.** 1. ლ. ტურიშჩევა (დონის როსტოვი, „დინამო“) — 19,025; 2. გ. ხრიაპინა (ლენინგრადი, „ტრუდი“) — 18,85; 3. ნ. ზელენკოვა (ვიტებსკი, „დინამო“) — 18,675; **ორძელი.** 1. ლ. ტურიშჩევა, ნ. კიმი (ჩიმკენტი, „სპარტაკი“) — 18,925-18,925; 3. ნ. ზელენკოვა, ლ. სავინა (მინსკი, „შრომითი რეზერვები“)—18,775-18,775; **დვირი.** 1. ე. საადი (ტაშკენტი, „დინამო“) — 19,125; 2. ნ. დრონოვა (თბილისი, „განთიადი“) — 19,0; 3. ლ. ბუილოვა (ალმაათა, „დინამო“) — 18,7; **თავისუფალი ვარჯიში.** 1. რ. სიხარულიძე (ბათუმი, „დინამო“) — 19,4, 2. ე. საადი — 19,325; 3. ნ. დრონოვა — 19,15.

ვაჟები. **თავისუფალი ვარჯიში.** 1. გ. ბოგდანოვი — 18,6; 2. ვ. ფოგელი — 18,45; 3. პ. შამუგია — 18,275; **ტაიჭი.** 1. რ. მიქაელიანი (ერევანი, „ბურევესტნიკი“) — 18,675; 2. ნ. ნედბალსკი (მინსკი, შეიარაღებული ძალები) — 18,325; 3. მ. გრიგორიანი (ერევანი, „სპარტაკი“) — 18,225; **რგოლები.** 1. ვ. ბოიკო (მოსკოვის ოლქი, შეიარაღებული ძალები) — 18,85; 2. ა. მალეევი — 18,75; 3. ვ. ფოგელი — 18,425; **ხტომები.** 1. პ. შამუგია — 18,875; 2. ვ. საფრონოვი (ლვოვი, შეიარაღებული ძალები) — 18,675; 3. ვ. ფოგელი — 18,6; **ორძელი.** 1. გ. ბოგდანოვი — 18,525; 2. პ. შამუგია — 18,4; 3. ა. მალეევი — 18,3; **ძელი.** 1. პ. შამუგია — 18,95; 2. ნ. ნედბალსკი, ა. მალეევი — 18,55-18,55.

საპატიო სიგელებით...

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა სსრ კავშირის თასის გათამაშებასა და ცალკეულ იარაღებზე ჩემპიონატში მოპოვებული წარმატებისთვის საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა ტანმოვარჯიშეები: სპორტის ოსტატები **რ. სიხარულიძე, ნ. დრონოვა** და **პ. შამუგია**, აგრეთვე, მათი მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები **ა. გაგრიაძე, ს. ბურჯანაძე** და **გ. ბურჯანაძე.**

სიხარულს სიხარული მოსდევს

ამ ბოლო ხანს საქართველოს სპორტსმენების წარმატებათა შესახებ სასიხარულო ცნობები თითქმის ყველა კუთხიდან მოდის. სპორტის ქომაგებს ჯერ კიდევ არ განელებოდათ სიხარული მსოფლიო უნივერსიადაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა გამარჯვებების გამო, რომ თეირანიდან ქართველ ფალავანთა, ჰავანიდან დიტო შანიძის სახელო საქმეების ამბავი მოვიდა. მერე აქ, თბილისის სპორტის სასახლეში, ქართული ტანვარჯიშის ვარსკვლავთა ამობრწყინებას დავესწარით, ახლა კი ერევნიდან მოგვივიდა კარგი ცნობები. როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, ერევანში „რაზდანის“ კორტებზე, დასასრულს მიუახლოვდა სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი ჩოგბურთში.

უკვე ცნობილია პირველ ჩემპიონთა სახელები. ვაჟთა წყვილებში ეს საპატიო წოდება მოიპოვეს საქართველოს წარმომადგენლებმა ა. მეტრეველმა და თ. კაკულიამ. ქართულმა დუეტმა ამ თანრიგში მთელი შეჯიბრება დიდოსტატურად ჩაატარა, ყველა შეხვედრა მოიგო და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დაიმკვიდრა ადგილი. თბილისელებმა ფინალურ მატჩში დაამარცხეს ბაქოელი ს. ლიხაჩოვი და მოსკოველი ვ. კოროტკოვი — 6:3, 6:3, 6:4.

მეტრეველი რომ სსრ კავშირის პირველი ჩოგანია, ხოლო კაკულია — მეორე, დღეს ყველამ იცის. არც ისაა საკამათო, რომ ქართველი ჩოგბურთელები წლევანდელი სეზონის მიხედვითაც პირველი და მეორე იქნებიან, ვინაიდან სწორედ მათი მონაწილეობით გაიმართება ერევანში ვაჟთა ერთეულების ფინალური შეხვედრა. მეტრეველმა ნახევარფინალში სძლია მოსკოველ ა. ვოლკოვს, ხოლო კაკულიამ — ტალინელ თ. ლეიუსს.

ყველაზე მოულოდნელი კი ჩვენთვის ისაა, რომ ქალთა ერთეულებში თბილისელმა სპორტსმენმა ა. ივანოვამ დიდებულად ითამაშა, მეოთხედფინალში დაამარცხა შარშანდელ ჩემპიონატში გამარჯვებული ბაქოელი ე. ბირიუკოვა (7:5, 6:2), ხოლო ნახევარფინალში სძლია რიგელ ზ. ივანოვას (6:4, 6:0). ფინალში ა. ივანოვას მეტოქე იქნება კიეველი მ. კროშინა, რომელმაც, თავის მხრივ, ნახევარფინალში დაამარცხა მოსკოველი ო. მოროზოვა (7:5, 4:6, 6:2). თბილისელიც და კიეველიც პირველად გავიდნენ ერთეულთა შეჯიბრების ფინალში. ვერცხლის მედალი თბილისელს უკვე უზრუნველყოფილი აქვს, მაგრამ მისი ქომაგები მეტს ელიან.

ერევანში გამოვლინდნენ ჩემპიონები ქალთა წყვილებში. ესენი არიან ო. მოროზოვა და ზ. ივანოვა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს ესტონელები ტ. პარმასი და ლ. ზინკევიჩი.

• • •



სურათზე: ა. მეტრეველი და თ. კაკულია თამაშის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით 21 სექტემბერს გამართული I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების—მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ მატჩის შედეგის შესახებ. როგორც უკვე იცით, ეს შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა — 1:0.

გთავაზობთ დანარჩენი მატჩების შედეგებს: „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „ზვეზდა“ (პერმი) 0:5, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 3:2, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 2:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „პამირი“ (დუშანბე) 3:1, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ალგა“ (ფრუნზე) 5:1, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 6:7 (პენალტებით. ძირითადი დრო 2:2), „შინიკი“ (იაროსლავლი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 4:2, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 4:5 (პენალტებით. ძირითადი დრო 0:0).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 სექტემბრისთვის

	თ.	მ.ძ.	მ.პ.	წ.	ბ.	ქ.
„ნისტრუ“ (კიშინიოვი)	31	21	2	8	76—45(61—28)	44
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	30	20	2	8	80—38(67—29)	42
„ნეფთჩი“ (ბაქო)	30	16	3	11	82—65(51—31)	35
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	29	15	5	9	69—54(35—27)	35
„შინიკი“ (იაროსლავლი)	30	14	2	14	63—57(39—28)	30
„მეტალურგი“ (ლიპეცკი)	29	12	5	12	83—71(32—23)	29
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	30	13	3	14	59—60(36—36)	29
„ტორპედო“ (ქუთაისი)	30	13	2	15	53—56(33—37)	28
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	30	11	5	14	82—75(45—40)	27
„ზვეზდა“ (პერმი)	31	12	3	16	67—65(42—38)	27
„კუზბასი“ (კემეროვო)	31	11	2	18	69—79(33—37)	24
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	30	10	4	16	65—68(31—36)	24
„სპარტაკი“ (ივანო ფრანკოვსკი)	31	10	4	17	62—75(33—48)	24
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	30	9	6	15	63—71(31—47)	24
„პამირი“ (დუშანბე)	30	10	2	18	56—59(38—38)	22
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	30	9	4	17	54—67(24—37)	22
„სტროიტელი“ (აშხაბადი)	30	10	2	18	52—66(36—49)	22
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	31	9	4	18	65—78(28—42)	22
„შახტიორი“ (ყარაგანდა)	29	8	4	17	60—77(30—47)	20
„ალგა“ (ფრუნზე)	30	3	1	26	51—85(20—47)	7

II ლიგა IV ზონა

„ლელომ“ II ლიგის IV ზონაში 21 სექტემბერს გამართული მატჩებიდან 3 შედეგი უკვე გამოაქვეყნა. გთავაზობთ ამ ტურის შეხვედრების დანარჩენ შედეგებსაც:

„მერცხალი“ (მახარაძე) — „ლოკომოტივი“ (კალუგა) 1:0, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დინამო“ (ბრიანსკი) 4:0, „გურია“ (ლანჩხუთი) — „რევტრუდი“ (ტამბოვი) 6:2, „დინამო“ (ვოლოგდა) — „სპარტაკი“ (კოსტრომა) 3:5 (პენალტებით. ძირითადი დრო 2:2), „სატურნი“ (რიბინსკი) — „ვოლგა“ (გორკი) 5:4 (პენალტებით. ძირითადი დრო 1:1).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 სექტემბრისთვის

	თ.	მ.ძ.	მ.პ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (კოსტრომა)	27	17	4	6	77—39(49—22)	38
„ლოკომოტივი“ (კალუგა)	27	15	5	7	69—50(39—24)	35
„დინამო“ (ვოლოგდა)	26	14	4	8	67—47(36—19)	32
„ზვეზდა“ (ტირასპოლი)	26	15	0	11	49—40(37—25)	30
„ტორპედო“ (ვლადიმირი)	26	13	2	11	63—42(47—26)	28
„მერცხალი“ (მახარაძე)	27	11	4	12	64—61(30—30)	26
„ვოლგა“ (გორკი)	26	11	3	12	72—59(40—25)	25
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	27	12	0	15	47—47(37—33)	24
„დილა“ (გორი)	28	12	0	16	44—51(37—42)	24
„სპარტაკი“ (რიაზანი)	25	11	0	14	42—44(36—37)	22
„გურია“ (ლანჩხუთი)	26	8	4	14	66—72(34—43)	20
„კოლხეთი“ (ფოთი)	26	8	4	14	55—67(23—37)	20
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	27	9	2	16	49—70(28—46)	20
„დინამო“ (ბათუმი)	27	9	1	17	50—58(29—35)	19
„სატურნი“ (რიბინსკი)	28	7	5	16	55—60(26—39)	19
„დინამო“ (სოხუმი)	26	7	5	14	50—60(23—37)	19
„დინამო“ (ბრიანსკი)	27	7	2	18	53—64(31—40)	16
„რევტრუდი“ (ტამბოვი)	25	7	1	17	40—65(25—47)	15

„მეგობრობა-73“

დონეცკის ოლქის 11 ქალაქში გრძელდება სოციალისტური ქვეყნების იუნიორ ფეხბურთელთა ტურნირი „მეგობრობა-73“. საქდესმა შეცდომით შეგვატყობინა, რომ „ა“ ქვეჯგუფის I ტურის მატჩი სსრ კავშირის I და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდებს შორის საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიგეს (1:0). სინამდვილეში ეს შეხვედრა ფრედ (0:0) დამთავრდა.

„ბ“ ქვეჯგუფის I ტურის მატჩების შედეგები ასეთია: პოლონეთი — გდრ 0:0, ბულგარეთი — სსრ კავშირი II 0:0.

„ა“ ქვეჯგუფის II ტურის მატჩი სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა კარგად ჩაატარა და დამაჯერებელი ანგარიშით (3:1) დაამარცხა ჯსდრ-ის გუნდი. აღსანიშნავია, რომ ანგარიში გახსნეს კორეელებმა, როცა კიმ დეკ ხიანმა საბჭოთა ნაკრების მცველთა შეუთანხმებელი თამაშით ისარგებლა. მერე საბჭოთა ფეხბურთელებმა 3 გოლი გაიტანეს (ბურკაძემ და ჩხაიძემ—2). ამ ქვეჯგუფის მეორე მატჩი ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის გუნდებს შორის ფრედ (0:0) დამთავრდა.

„ა“ ქვეჯგუფში ორი ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა ფეხბურთელები (3 ქულა). 2 ქულით II ადგილზე არიან ჩეხოსლოვაკიელები.

ზაპოროჟიეში

გრძელდება ხელბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრების მეორე დღეს გდრ-ის ნაკრებმა დაამარცხა სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდი — 18:12 (11:7). სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა მოუგო რუმინეთის კოლექტივს — 7:4 (3:0), ხოლო დანიელებმა აჯობეს გფრ-ის გუნდს — 11:8 (5:4). III ტურში სსრ კავშირის პირველმა გუნდმა კვლავ ისახელა თავი. ამჯერად საბჭოთა ხელბურთელებმა დაამარცხეს თავიანთი ახალგაზრდა თანამემამულეები — 18:10 (4:7). ამ ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: დანია — რუმინეთი 10:12 (3:6), გდრ — გფრ 21:12 (11:6).

სამი ტურის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებს ჰქონდა 6 ქულა, გდრ-ისას — 5, დანიისას — 3, სსრ კავშირის (ახალგაზრდული) და რუმინეთის გუნდებს — 2-2, გფრ-ის ნაკრებს — 0.

პრეტენდენტები დაწყვილდნენ

1974 წლის იანვარში ბრძოლას უნდა შეუდგნენ მსოფლიო ჩემპიონ რ. ფიშერთან (აშშ) მატჩის პრეტენდენტები. თუ სად და როდის დაიწყება შეჯიბრება, ამას 30 სექტემბრამდე დაადგენს ფიდე-ს 44-ე კონგრესი, რომელიც 25 სექტემბერს ჰელსინკში იწყებს მუშაობას. გუშინწინ მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, მოეწყო წილისყრა მეოთხედფინალური მატჩების რვა მონაწილეს შორის.

სალამო გახსნა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, დიდოსტატმა ი. ავერბახმა. ფიდე-ს პრეზიდენტის დავალებით, წილისყრა ჩაატარა ფიდე-ს ბიუროს წევრმა ჰ. სმიტმა (ჰოლანდია).

წილისყრა ორ ეტაპად ჩატარდა. ჯერ საჭირო იყო პირველი ოთხეულის გარკვევა. ცნობილი იყვნენ ამ ოთხეულის მხოლოდ პირველი და მეორე ნომრები — ბ. სპასკი და ტ. პეტროსიანი. მესამე ან პეტროპოლისის ტურნირის პირველი პრიზიორი ე. მეკინგი იქნებოდა, ან ლენინგრადის ტურნირის I-II ადგილების ერთ-ერთი მფლობელი ვ. კორჩნოი, ან ა. კარპოვი. ოთხეულის შემადგენლობაში მოსახვედრად წილი ყარეს კორჩნოიმ და კარპოვმა. ჯერ კარპოვს გაუღიმა ბედმა, მერე მეკინგს (მის მაგიერ წილისყრაში მონაწილეობდა ბრაზილიის საელჩოს წარმომადგენელი). მეოთხე ნომერი კარპოვს შეხვდა.

დაიწყო წილისყრის მეორე ეტაპი — მეტოქეთა დაწყვილება. სპასკიმ მეტოქედ რ. ბირნი (აშშ) „აირჩია", პეტროსიანმა — პორტიში. მეკინგს ხვდა კორჩნოი, კარპოვს კი — ლ. პოლუგაევსკი.

აქვე ცნობილი გახდა, რომ შემდეგომ ერთ ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან სპასკი — ბირნისა და კარპოვ — პოლუგაევსკის, მეორეში — პეტროსიან — პორტიშისა და მეკინგ — კორჩნოის ორთაბრძოლებში გამარჯვებულნი.

ფიდე-ს დებულებით, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა მატჩი ნეიტრალურ ქვეყანაში უნდა შედგეს. მაშასადამე, მეოთხედფინალური მატჩებიდან სსრ კავშირში მხოლოდ კარპოვ — პოლუგაევსკის ორთაბრძოლა გაიმართება.

მეოთხედფინალურ მატჩებში გაიმარჯვებს ის, ვინც ადრე მოიგებს სამ პარტიას, ოღონდ ერთი პირობით: 16 პარტიაში. დავუშვათ, რომ ეს მოთხოვნა ვერც ერთმა მეტოქემ ვერ შეასრულა, მაშინ გამარჯვება დარჩება მას, ვისაც ამ დროისთვის მეტი მოგებული პარტია აღმოაჩნდება. თუ რაოდენობა თანაბარი იქნა, მაშინ გამარჯვებულს წილისყრა დაასახელებს.

პრეზიდენტი და მისი საზრუნავი

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მოჭადრაკეები უკმაყოფილო არიან ფიდე-ს პრეზიდენტ მ. ეივეს მოღვაწეობით. განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია ბ. სპასკისთან მსოფლიო პირველობაზე მატჩის დროს რ. ფიშერის მიმართ მისმა ლოიალურმა დამოკიდებულებამ. ზოგიერთმა ეივეს გადაყენებაც მოითხოვა. მიუხედავად ამისა, პროფესორი ეივე შესაშური მუყაითობით ზრუნავს საჭადრაკო ცხოვრების აქტუალური პრობლემების მოგვარებისთვის.

72 წლის პრეზიდენტმა ძალიან მოკლე დროში მოინახულა ფიდე-ს წევრი 80 ქვეყანა, ადგილზე დაეხმარა ჭადრაკის ორგანიზატორებს, შეხვდა ამ თამაშის მოყვარულებს. ხანდაზმული პრეზიდენტი არც საავტომობილო ავარიაში მოხვედრამ შეაშინა.

რა თქმა უნდა, პრეზიდენტს ყველაზე მეტად მსოფლიო პირველობის გათამაშების პრობლემა აწუხებს. საზოგადოებრიობა მოითხოვს, რომ ბოლოს და ბოლოს მოგვარდეს ეს საკითხი; რათა აღარ გამეორდეს ის, რაც სპასკი — ფიშერის მატჩამდე და მატჩის დროს ხდებოდა.

თვით ეივესაც მიაჩნია, რომ საჭიროა შემუშავდეს მსოფლიო პირველობის გათამაშების უფრო სამართლიანი და ობიექტური წესები.

25 სექტემბერს ჰელსინკში გაიმართება ფიდე-ს მორიგი კონგრესი, რომელზეც მსოფლიო პირველობის გათამაშების საკითხსაც განიხილავენ. ეივეს გადაწყვეტილი აქვს კონგრესს თავისი პროექტი შესთავაზოს.

როგორია ეს პროექტი? პრეზიდენტი იმ აზრისაა, რომ, თუ მეტოქენი თამაშის ადგილზე თვითონ ვერ შეთანხმდნენ, მაშინ მას ფიდე-ს ბიუროს წევრები შეარჩევენ და დაამტკიცებენ პრეტენდენტთა მატჩების დამთავრებიდან არა უგვიანეს 6 კვირის შემდეგ. შეჯიბრება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთ-ერთ ნეიტრალურ ქვეყანაში. მატჩის გამართვა ორი ან მეტი ქვეყნის ტერიტორიაზე არ შეიძლება.

ახალი წესით, მსოფლიო პირველობაზე მატჩი 6 მოგებამდე გაგრძელდება, მაგრამ გათამაშებული პარტიების საერთო რაოდენობა 30-ს არ უნდა აღემატებოდეს. თუ 30 პარტიაში 6 პარტია ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიგო, მაშინ გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვისაც ამ დროისთვის მეტი შეხვედრა ექნება მოგებული. მაგრამ, თუ მოგებული პარტიების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდება, მაშინ ჩემპიონად ისევ ძველი ჩემპიონი დარჩება.

ეივეს აზრით, შეჯიბრება უნდა დაიწყოს პრეტენდენტთა მატჩების დამთავრებიდან (1974—ნოემბერი) არა უგვიანეს 6 თვის შემდეგ (1975 აპრილი—მაისი).

მეტოქეთა დასაჯილდოებელ თანხას პრეზიდენტი განსაზღვრავს არა ნაკლებ 100 ათასი შვეიცარული ფრანკის ოდენობით. ეს თანხა შეიძლება კიდევ გაიზარდოს.

ეივეს პროექტში რჩება ის, რაც ფიდე-მ უკვე მიიღო: მატჩის I პარტიაზე ერთი საათით დაგვიანება მოჰყვება ამ პარტიისა და მთლიანად მატჩის წაგება.

ფიდე-ს პრეზიდენტს აღელვებს ისიც, რომ გაჭიანურებულია საჭადრაკო ოლიმპიადები, რაც ისედაც ძვირი ჯდება. საჭიროა ამ შეჯიბრებისთვის დადგენილი დროის შემცირება.

უნდა ითქვას, რომ პროფესორი ეივე ცდილობს აამუშაოს ყველა ეროვნული ფედერაცია. სწორედ ამ მიზნით მოიარა მან ბევრი ქვეყანა. ეს, სხვათა შორის, უკვე საჭადრაკო ცხოვრებასაც დაეტყო. გახშირდა ეროვნული ტურნირები, მოჭადრაკეთა შეხვედრები.

და ბოლოს, სწორედ ფიდე-ს პრეზიდენტის წინადადებით, 23 სექტემბერს მოსკოვში მოეწყო პრეტენდენტთა მატჩების წილისყრა. ფიდე-ს კონგრესი კი მის შედეგებს დაამტკიცებს და ამ მატჩებს მასპინძლებსაც შეურჩევს. ეს მატჩები 1974 წლის 15 იანვრიდან დაიწყება.

თ. გიორგაძე.

ტალის ახალი გამარჯვება

სოჭი, 23 სექტემბერი. მ. ჩიგორინის IX მემორიალის დასკვნით, XV ტურში მ. ტალმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ი. ბალაშოვთან, ბ. სპასკიმ—ნ. კროგიუსთან (ორივე — სსრ კავშირი). ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, შეხვედრები: მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია) — ი. ტიმანი (ჰოლანდია), უ. ანდერსონი (შვეცია) — ა. ჰენინგსი (გდრ), ნ. რაშკოვსკი (სსრ კავშირი) — ნ. სპირიდონოვი (ბულგარეთი), ვ. კორენსკი — ა. სუეტინი (ორივე — სსრ კავშირი) და ი. რუკავინა (იუგოსლავია)—ი. სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია). რ. ხოლმოვმა (სსრ კავშირი) სძლია ლ. საბოს (უნგრეთი).

ტურნირი დამთავრდა. გთავაზობთ შედეგებს: I. ტალი — 11 ქულა; II. სპასკი — 10; III-IV. კროგიუსი, სმეიკალი — 9-9; V-VI. ანდერსონი, ტიმანი — 8,5-8,5; VII-VIII. სუეტინი, ხოლმოვი — 8-8; IX. ბალაშოვი — 7,5; X. ფილიპი — 7; XI-XIII. რაშკოვსკი, საბო, ჰენინგსი — 6,5-6,5; XIV-XV. რუკავინა, სპირიდონოვი — 5-5; XVI. კორენსკი — 4.

ჩვენი კომენტარი

მ. ჩიგორინის ტრადიციულ მემორიალში, რა თქმა უნდა, ისიც საინტერესო იყო, ვინ შეასრულებდა დიდოსტატის (9 ქულა) ან საერთაშორისო ოსტატის (6,5) ნორმატივს. მაგრამ სპეციალისტებსა და გულშემატკივრებს პირველ ყოვლისა სპასკისა და ტალის თამაში აინტერესებდათ.

მოხდა ისე, რომ სპორტული ბრძოლა პირველი პრიზისთვის სწორედ სპასკისა და ტალს შორის გაჩაღდა. თავიდან ტალი ლიდერობდა, მაგრამ XI ტურში მას სპასკიმ გაასწრო. ფინიშზე ტალმა ზედიზედ სამი პარტია მოიგო და პრიზიც დაისაკუთრა.

ტალმა ყველა დაარწმუნა, რომ მისი წარუმატებლობა ლენინგრადის საზონათშორისო ტურნირში მხოლოდ უსიამოვნო შემთხვევა იყო. რიგელი დიდოსტატი კვლავ რაინდული შემართებით გამოირჩეოდა. მას, როგორც სპასკის, კროგიუსსა და ანდერსონს, არც ერთი პარტია არ წაუგია.

სპასკის მალე პრეტენდენტთა მატჩებში უწევს გამოსვლა. ფიშერთან მატჩის წაგების შემდეგ იგი კარგა ხანს ვერ ჩადგა სპორტულ ფორმაში, მაგრამ სოჭში საუცხოოდ ითამაშა. მთავარი ისაა, რომ ახლა იგი ისევე ძლიერად თამაშობს, როგორც წარსულ წლებში, მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის რომ იბრძოდა.

თ. ნინოშვილი.

ევროპის თასები

ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ ევროპის ტურნირების შედეგების ერთი ნაწილი. იმ დროისთვის რედაქციას ხელთ არ ჰქონდა უეფა-ს თასის გათამაშების მეორე — მეექვსე და მერვე ჯგუფებში გამართული მატჩების შედეგები, რომელთაც დღეს გაგაცნობთ.

მეორე ჯგუფი

„სტრიომსგოდსეტი" (ნორვეგია)—„ლიდსი" (ინგლისი) 1:1, „ესტერსი" (შვეცია) — „ფეიენოორდი" (ჰოლანდია) 1:3, „სტანდარდი" (ბელგია) — „არდსი" (ჩრდილოეთ ირლანდია) 2:3, 6:1, „ჰიბერნიენი" (შოტლანდია) — „კეფლავიკი" (ისლანდია) 2:0.

მესამე ჯგუფი

„ნიცა" (საფრანგეთი) — „ბარსელონა" (ესპანეთი) 3:0, „ფორტუნა" (გფრ) — „ნაესტვედი" (დანია) 1:0, „გრასჰოპერსი" (შვეიცარია) — „ტოტენჰემი" (ინგლისი) 1:5, „აბერდინი" (შოტლანდია) — „ფინ ჰარპსი" (ირლანდია) 4:1.

მეოთხე ჯგუფი

„დენდი" (შოტლანდია) — „ტვენტე" (ჰოლანდია) 1:3, „ესპანიოლი" (ესპანეთი) — „რესინგი" (ბელგია) 0:3, „ლუქსემბურგი" (ლუქსემბურგი) — „მარსელი" (საფრანგეთი) 0:5. მატჩი „ბელენენსესსა" (პორტუგალია) და „ვოლვერჰემპტონს" (ინგლისი) შორის გაიმართება 26 სექტემბერს.

მეხუთე ჯგუფი

„იპსვიჩი" (ინგლისი) — „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) 1:0, „ლაციო" (იტალია) — „სიონი" (შვეიცარია) 3:0. „ვიტორია" (პორტუგალია) — „ბეერსხოტის" (ბელგია) და „ლოკომოტივ" (პლოვდივი, ბულგარეთი) — „სლიემა უონდერერსის" (მალტა) მატჩები მოგვიანებით გაიმართება.

მეექვსე ჯგუფი

„ფიორენტინა" (იტალია) — „უნივერსიტატა" (რუმინეთი) 0:0, „ფერენცვაროში" (უნგრეთი) — „გვარდია" (პოლონეთი) 0:1, „შტუტგარტი" (გფრ) — „ოლიმპიაკოსი" (კვიპროსი) 4:0, 9:0, „ტატრანი" (ჩეხოსლოვაკია) — „ველეჟი" (იუგოსლავია) 4:2.

მერვე ჯგუფი

ვსს (კოშიცე, ჩეხოსლოვაკია) — „ჰონვედი" (უნგრეთი) 1:0, „ტურინი" (იტალია) — „ლოკომოტივი" (ლაიფციგი, გდრ) 1:2, „ესკიშეჰირსპორი" (თურქეთი) — „კიოლნი" (გფრ) 0:0, „პანაჩაიკი" (საბერძნეთი) — „გრაცი" (ავსტრია) 2:1.

• • •

თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩებიდან არ იყო ცნობილი იბვ-სა (ისლანდია) და „ბორუსიას" (გფრ) შეხვედრის შედეგი. გერმანელებმა ეს მატჩი მოიგეს დიდი ანგარიშით — 7:0.

ისევ პოლაკი

ბონი, 23 სექტემბერი. გფრ-ის დედაქალაქის „ნორდპარკის" სტადიონზე მოეწყო მძლეოსნურ მრავალჭიდში ევროპის თასის გათამაშების ფინალი. სარბიელზე გამოდიან 12 ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენი ქალები და ვაჟები. ხუთჭიდელ ქალთა ასპარეზობაში წარმატება იზეიმეს გდრ-ის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ევროპის თასი მოიხვეჭეს. გამარჯვებულებმა 13.924 ქულა დააგროვეს. II ადგილი დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 13.351, III — ბულგარელებმა — 12.852. შეჯიბრების მშვენება იყო გდრ-ის ნაკრების ლიდერის ბ. პოლაკის გამოსვლა—4932 ქულა. მან 101 ქულით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი, რომელიც 12 აგვისტოს დაამყარა სოფიაში. საბჭოთა მძლეოსნებიდან საუკეთესო აღმოჩნდა ნ. ტკაჩენკო, რომელმაც 4695 ქულით II ადგილი დაიკავა. მესამე იყო მ. ოლფერტი (გდრ) — 4516.

ათჭიდელ ვაჟებში პირველი დღის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებს (ნ. ავილოვი, ა. ბლინიაევი, ტ. სუურვიალი, ტ. ბერენდსენი) მეორე შედეგი ჰქონდა — 11.903. დაწინაურდა პოლონეთის გუნდი—12.320. III ადგილზე არიან მასპინძლები.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

[illegible] 73

● **მოსკოვი, 23 სექტემბერი.** „სოკოლნიკის" სპორტის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირისა და იაპონიის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდების დასკვნითი ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:2 (15:8, 5:15, 15:6, 11:15, 18:16). ამ გუნდების წინადღის მატჩიც საბჭოთა ფრენბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 3:1.

● **ჰავანა, 23 სექტემბერი.** ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში მძიმე წონის სპორტსმენებში ყველას აჯობა საბჭოთა ათლეტმა პ. პერვუშინმა, რომელმაც ორჭიდში 385 კგ (170+215) დააგროვა. II ადგილი დაიკავა ხ. ლოშმა (გდრ) — 370, III — ჰ. გონსალესმა (კუბა) — 362,5.

ჩემპიონობაც, მსოფლიო რეკორდიც...

რომი, 23 სექტემბერი. მრგვალ სტენდზე სროლაში ევროპის ჩემპიონატი, რომელიც იტალიის დედაქალაქში გაიმართა, საბჭოთა სპორტსმენების სრული ტრიუმფით დამთავრდა. მათ (თბილისელი ტ. ჟღენტი, მოსკოველი ე. პეტროვი, სვერდლოვსკელი ი. ცურანოვი და ფრუნზელი ვ. ანდრეევი) არა მარტო კონტინენტის ჩემპიონობა მოიგეს, არამედ მსოფლიო რეკორდიც დაამყარეს. საბჭოთა ნაკრებმა 600 შესაძლებლიდან 589 ქულა დააგროვა.

ვერცხლის მედლები მოიპოვეს პოლონელებმა — 581, ბრინჯაოსი — ჩეხოსლოვაკიელებმა — 576.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ცამეტი უცხოელი სამ კლუბში

საბერძნეთის სამივე წამყვან კლუბს — „პანათინაიკოსს", „ოლიმპიაკოსსა" და აეკ-ს მდიდარი მფარველები გამოუჩნდნენ. ყველაზე მეტი ფული „პანათინაიკოსს" აქვს, რომელსაც ცნობილი მილიარდერი ა. ონასისი მფარველობს. ამ სამ კლუბში ცამეტი უცხოელი აღმოჩნდა, ძირითადად სამხრეთ ამერიკიდან — არგენტინიდან, ურუგვაიდან და პარაგვაიდან.

უდისციპლინოებს სჯიან

უეფა-ს თასის ბოლო, 1972-73 წლების გათამაშებაში უდისციპლინოდ იქცეოდნენ „ლიდს იუნაიტედის" ფეხბურთელები ჰანტერი (იგი ეროვნული ნაკრების წევრიცაა) და ჯორდენი. ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით, ისინი დაისაჯნენ კიდეც: ჰანტერს ჩამოერთვა უეფა-ს თასის ახლანდელი გათამაშების სამ პირველ მატჩში მონაწილეობის უფლება, ჯორდენს — ერთში.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 380096, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება—99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო—93-97-59 ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 02763